სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება №19-12-172
CPV- 39715220 - ელექტროგამათბობელი მოწყობილობები

დეკემბერი 2019

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, **ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდი,** (მის: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №48, ს/კ 404384974, სახაზინო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, TRESGE22, GE24NB0330100200165022, ტელ: 0322470014) შემდგომში „შემსყიდველი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის **ალექსანდრე ტოგონიძის** სახით და მეორეს მხრივ, **შპს „ილიტეკ“,** (მის: ქ. თბილისი, ცინცაძის N38, ს/კ 404851807, საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „თიბისი ბანკი“, ბანკის კოდი TBCBGE22, ა/ა GE70TB7453636120100003, info@ilitek.ge, 790104555) შემდგომში „მიმწოდებელი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის მინდობილი პირი **თეონა უხურგუნაშვილის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება, მიწოდების ვადა, ადგილი და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია: 3 ცალი ელექტროგამათბობელი **(heater/ilitek-il9233).**

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **570.00** (ხუთას სამოცდაათი) ლარს, რომელიც მოიცავს, როგორც შესასყიდი ობიექტის ღირებულებას, ასევე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს (ერთი გამათბობლის ღირებულებაა 190.00 ლარი).

2.3 დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

2.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დასაშვებია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების მხოლოდ 10%-ის ოდენობით გაზრდა.

2.5 დაფინანსების წყარო - ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის **2019** წლის საბიუჯეტო სახსრები.

2.6 შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 26 დეკემბრისა.

2.7 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერიდან ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე - 2020 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

2.8 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, რკინიგზის ცენტრალური სადგური.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1 მხარეები ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად, დროულად და ჯეროვნად შეასრულონ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

3.2 **მიმწოდებელი უფლებამოსილია:**

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების შეუფერხებლად ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად;

3.3 **მიმწოდებელი ვალდებულია:**

ა) მიაწოდოს საქონელი წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოს პროექტორის გარანტია სწორი ექსპლუატაციის პირობებში არანაკლებ ერთი წლის ვადით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან.

დ) შესყიდვის ობიექტი უნდა გაიტესტოს ადგილზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე, ხარვეზის ან საწარმოო წუნის შემთხვევაში სავალდებულოა მოხდეს მისი შეცვლა არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში.

3.4 **შემსყიდველი უფლებამოსილია:**

ა) აწარმოოს ზედამხედველობა ინსპექტირების ჯგუფის მეშვეობით საქონლის მიწოდებაზე.

3.5 **შემსყიდველი ვალდებულია:**

ა) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად;

4. მიღება - ჩაბარების წესი

4.1 შესასყიდი ობიექტის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

4.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება ხდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელის მოწერით და ბეჭდით.

4.3 თუ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღი დაემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება შესაძლოა განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება მიწოდების ვადის გადაცილებად.

5. ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორების ვალუტაა ქართული ლარი.

5.2 ანგარიშსწორების ფორმაა უნაღდო, მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

5.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

5.4 შემსყიდველი ვალდებულია ანგარიშსწორება მოახდინოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

5.5 თუ ანგარიშსწორება უნდა შესრულდეს არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება გადახდის ვადის გადაცილებად.

6. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

6.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, თავიანთი ვალდებულებების არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ ამ ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

6.2 თითოეული მხარე უფლებამოსილია მეორე მხარის მიზეზით ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დააკისროს მეორე მხარეს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის ღირებულების 0,02%-ის ოდენობით, რომლის ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10 %-ს.

6.3 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას გადაწყვეტილების გაცნობიდან (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში.

6.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

7.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.

7.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით ან/და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

7.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება (მთლიანად ან ნაწილობრივ), თუ:

ა)მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

ბ) მიმწოდებელი შემსყიდველის გაფრთხილების მიუხედავად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

გ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8. სხვა პირობები

8.1 ხელშეკრულებაში დამატებების ან/და ცვლილებების შეტანა მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

8.2 მხარეები გამოიყენებენ ყველა შესაძლებლობას წარმოქმნილი უთანხმოების აღმოსაფხვრელად მოლაპარაკების გზით. უთანხმოების მოლაპარაკების გზით აღმოფხვრის შეუძლებლობის შემთხვევაში ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს მიმართოს საერთო სასამართლოს.

8.3 წინამდებარე ხელშეკრულების დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების არსებით შემადგენელ ნაწილს.

8.4 ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის დირექტორი აქვე ადასტურებს რომ არ იმყოფება ინტერესთა კონფლიქტში „მიმწოდებლის“ მიმართ.

9. მხარეთა ხელმოწერები

<u>შემსყიდველი</u>	<u>მიმწოდებელი</u>
თბილისის განვითარების ფონდი	**შპს „ილიტეკ“**
დირექტორი	დირექტორის მინდობილი პირი
ალექსანდრე ტოგონიძე	**თეონა უხურგუნაშვილი**

Tbilisi Development fund

Digitally signed by Tbilisi Development fund
Date: 2019.12.12 11:36:55 +04'00'